№ 810 სამშაბათი, 4 მაისი. 1896—1899 სამშაბათი, 4 მაისი. № 810

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., ათ.-აზნაურო ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთ-ად მიმართავენ რედაქციას დილის 10-3 საათამდე და საღამოს 6—7 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
რედაქტორს შეიძლება ნახონ რედაქციაში ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი.
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან.

## სახალხო სეირნობა
## საქველ-მოქმედო განზრახვით

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების" სასარგებლოდ

დანიშნულია 16-ს და 17-ს მაისს, კვირას და ორშაბათს, მუშტაიდში. (10—3)

## ორთქლით მომუშავე სტამბა
## ექვთიმე ი. ხელაძისა

ტელეფონი 648.

ტფილის-მიხეილ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკკლ. ახალ შენობაში.
(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე საბეჭდავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი, ... (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით.

ასრულებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ენაზე ... რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ... ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასათვის ხელმისაწვდომ... ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—27)

## „შუამავალი"

...ამხანაგობის მაღაზია გადავიდა ... თამამშევის ქარვასლაში პუ... ...ნის სკვერის წინ. (3—1)

...მკურნალო და ამბულატორია
## ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

...ურნალოში 50 საწოლია ავად... ...ფოთათვის მიიღებიან ავადმყოფ... ...შინაგანისა, ნერვულსა, საქალო... ...თვალისა და ქალთა ავადმყო... ...ფობისანი,
...ადამღებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ზირაქი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კობანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი ბაქტერიოლოგიური და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница В. С. Топуріа въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

—

* * * ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მაისის დასაწყისში კი არა დამლევში შესდგება, მის შემდეგ როცა არჩეული კომისია შეიმუშავებს გამიჯვნის საქმეს ჩვენში.

* * * მთავარ-მართებლის ჩამობრძანება. როგორც „ჩერნ. ვესტ". იუწყება, მათი ბრწყინვალება ბ-ნი მთავარ-მართებელი თავ. გ. ს გოლიცინი პეტერბურგიდან ჩამობრძანდება ტფილის 20 მაისს.

* * * მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორის თანაშემწედ, იმავე გაზეთის სიტყვით, უნდა დაინიშნოს პოლკოვნიკი ვ. ო. ტროფიმოვიო.

* * * სამურზაყანოს ნაწილის უფროსად ლისოვსკის მაგიერ დაუნიშნავთ არტვინის ოლქის უფროსი ბ ნი არუთინოვი.

* * * საიუნკრო უფროსის გადაყვანა. როგორც „ნ. ო." იუწყება, საიუნკრო სასწავლებლის უფროსი პოლკოვნიკი კოლუბიაკინი გადაჰყავთ

* * * მომრიგებელ მოსამართლეს ნ. დ. ზუბალოვს, რომელიც აგერ ოცდა ხუთმეტი წელიწადია მომრიგებელ-მოსამართლეთ არის ტფილისში, თავი დაუნებებია სამსახურისათვის ხოლო მის ადგილზე ორი კანდიდატია თურმე: ბ-ნი მიტკევიჩი და ჟალიაკირშჩკოვი.

* * * ხმალში გამოსვლის საქმე. როგორც გაზ. „კავკაზს" სწერენ პეტერბურგიდან საგანგებო კომისიას, რომელიც ხმალში გასვლის გაწესრიგებისათვის იყო ამორჩეული, ვრცელი მოხსენება შეუდგენია და შესაფერი წეს-რიგი შეუმუშავებია, რომელიც შესდგება თურმე 35 მოხელისაგან.

* * * საჯარო გამოცდა 1 გიმნაზიაში. კვირას, პირველ გიმნაზიაში დიდძალი ხალხი დაესწრო. ამდღეს დანიშნული იყო საჯარო გამოცდა არჯიშობისა ყველა მოწაფეთა შორის.

* * * იარაღის დარიგება აგვზაკეთის საწინააღმდეგოდ საგუბერნიო ვმართველობანი კავკასიისა ამ ჟამად ადგენენ სიებს იმ სოფლებისას და პირებისას, რომელთაც უნდა დაურიგდეთ თოფები ყაჩაღების და ავაზაკების საწინააღმდეგოდ.

* * * კალია ქიზიყში. გაზ. ნოვ. ობ."—სწერენ, რომ ქიზიყში ალაგ-ალაგ კალია გაჩნდაო.

* * * ალლუმი თიანეთში. დაბა თიანეთში ჩვეულებრივ ჯარები იქნება საზაფხულოდ. წელსაც ჯარები გაემგზავრებიან საალლუმოდ, ზოგი ჯარი უკვე წასულა და ზოგიც ამ თვეს გავლენ.

* * * მცხეთის დათვალიერება გორის დედათა პროგიმნაზიის მოწაფეთაგან პატივცემულ ნიკო ლომაურის თაოსნობით გორის დედათა პროგიმნაზიის მოწაფენი ამ დღეებში მცხეთაში გაემგზავრებიან ტაძრის დასათვალიერებლად.

* * * ცხინვალის ქუჩის გასწორება და გასუფთავება. ადგილობრივ ბოქაულს დამამასახლისს დაუვალებიათ ცხინვალის ყველა მედუქნეები, რომ ფული შემოიტანეთ დაბის ქუჩის დასასუფთავებლადო. მედუქნეებიც დაყაბულებულან და ამ ჟამად კარგა ფულია შეგროვილი. იმედია, რომ ცხინვალს და მის ქუჩებს მალე შესაფერი სიწმინდე და შნო მიეცემა.

* * * იოანე ზედაზნელის მონასტერი და მასი დღეობა. სადგურ ავჭალიდგან ცხრა ვერსის მანძილზე დასავლეთ სამხრეთით გაშენებულია იოანე ზედაზნელის მონასტერი, ამ მონასტრის დღეობა ყოველ წლობით შვიდ მაისს მოდის. ამ მონასტერში ამ დღეს იკრიბება თბილისიდან მლოცავები რუსებიც და ქართველებიც, მომეტებულად ქალაქიდგან რუსები. ამ დღესასწაულს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკკლესიებზე იმით, რომ ამ დღეს ეკკლესიაში ჩამოიღებენ კედლისაგან წმ. წყარო: ისე როგორც ცრემლი.

ჩრდილოეთით ამ მონასტერში განისვენებს ღირსი მამა იოანე ზედაძნელი. ისევ ჩრდილოეთ დასავლეთით გაკეთებულია გაკეთებულია ერთი არშინის სიღრმე აუზი. ამ კედლებისაგან აქ გროვდება ეს შესანიშნავი წყარო, ზემო ხსენებული. საკვირველი ეს არის, რომ მარტო ჩრდილოეთის მხრით გამოდის ეს წყარო და საკურთხეველში სხვა ალაგას არა. ამ წყალს მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მნიშვნელობა აქვს, მიაქვთ ყველა წოდების ხალხს სასულიეროს და საეროსაც, მაგრამ ამ დღეს რაც უნდა ბლომად წაიღონ მაინც არ აკლდება სოფლელები მომეტებულად ყურადღებას არ აქცევენ ამ დიდებულ სასწაულს და მიაქვთ ეს წყალი სასმელადაც როგორც ერთი უნდა წყალი მოთხრობაც არის ამ წყლის შესახებ, რომ ეს აუზი როდესაც წყალით აივსება, იმ წელს კარგი მოსავალი იქნება—თუ არ გაივსო—არაო. ეს მოთხრობაც სრულდება, მაგრამ ვინ აქცევს ყურადღებას. ჩვენ თვითონ ხუთს წელიწადში. ყოველს წელს მივდივართ დღეობას სალოცავად ამ დიდებულს მონასტერში და ყოველს წელს მეტის-მეტს სიხარულს გრძნობს გული ჩემი ასეთი ცხადი სასწაულისათვის. მონასტერს მშვენიერი წყარო აქვს აღმოსავლეთ ჩრდილოეთით. ერთი ვერსის მანძილზე. დღეობას სოფლებიდგან ქართველობა იკრიბება და მათ შორის ყოველ წლობით ჩხუბი და დავიდარაბა განუწყვეტელია. რადგანაც ყველა მდაბიო ხალხის მიმართულება დღეობებში სმაზე ჰკიდია, ამიტომ ყოველ წლივ დავიდარაბა და ჩხუბი ხშირად ხდება. დღეობაში აქ გაისმის შემზარავი ხმაურობა არღნის და სხვა-და-სხვა საკრავებისა, რომლებიც ამ დღესასწაულისათვის მიდიან ხოლმე. წირვა ლოცვის დროს არხეინად გაისმის არღნის და სხვა-და-სხვა საკრავების ხმა, ამ დროს ეკლესიაში სიჩუმე ირღვევა გარედგან ხმაურობით და შეწუხებულნი გარედ გამოდიან და ამით სარგებლობენ ეს დამკვრელნი ვაჟ-ბატონები და იმითაც მიიბირებენ. ეს სენი უნდა ძირიანად აღმოიფხრას და ამით გაუმჯობესდება სარწმუნოება მლოცველთა შორის. ამ ზემო ხსენებულ სენის მოსასპობად მონასტერში და ეკლესიებში მთავრობა უნდა ზრუნავდეს.

წესიერების მსურველი

*** **ს. იკორთა.** (ქართლი) **მონასტრის შესახებ.** ს. იკორთაში ოცამდის მეკომური ითვლება, ეს სოფელი შესანიშნავია მონასტერით, სადაც მარხიან წმიდა მოწამენი: შალვა, ბიძინა და ელიზბარ. ეს მონასტერი უწინდელ დროში გამშვენიერებული იყო ჩვენ წინაპრებისაგან, მხოლოდ ეხლა დაძველდა და უყურადღებობის გამო წვიმამაც დაიწყო დენა. ამ ორის წლის წინად ბერძნებმა ნაკლულევანება შეუმსეს და ეხლა უყურადღებოდ არის მიტოვებული, ვერარც სოფლელები აკეთებენ, რადგანაც არა აქვთ იმდენი ფული და არც არავინ სხვა ყურის მგდებელი ჰყავთ. კარგი იქნება პატარა ყურადღება მიექცეს ამ მონასტერს და გაამშვენიერონ, თორემ წვიმა უფრო და უფრო ჩამოვა და წახდენს კედლებს და ძველ მხატვრობას...

*** **ს. ახალ-უბანი.** (ქართლი) **მართალია თუ ტყუილი.** ერთი მოხუცებული გლეხი ასე ოთხმოცის წლისა იძახის: მე ერთი წყარო ვიცი, რომელიც შვიდს მილში გამოდიოდა უწინდელ დროში ეხლა-კი დამშრალიაო. რად! ეკითხება ზაქარა.—აი რად, შვილო, იმ მილებში თურმე ისეთი ცივი წყარო გამოდიოდა, რომ ერთ ჭიქას ვერ დალევდით, კბილები გაგეყინებოდაო, შემდეგ ერთს ბოროტ კაცს ძაღლი ჩაეკლა ამ წყაროში და ახლა იმიტომ აღარ ამოდის მას შემდეგ. თუ გინდა რომ ისევ გამოვიდეს, ღვდელს წავიყვან, პარაკლისს ვახდევინებ, ცხვარს დავუკლამ და ისევ ისეთი ცივი წყარო ამოვა როგორც წინად..ეს ბერი კაცი არავის არ ეუბნება თუ სად არის წყარო და მარტო თითონ იცის. თუ მართალია, ერთი წყარო ამ სოფლისთვის ძვირფასი განძია, რადგანაც წყალი არა აქვთ და რუსა სვამენ.

კ. ფრონის-პირელი

*** **ს. კახათი** (სამეგრელო). **ეკლესიის განახლება.** ეს რამდენი ხანია, ადგილობრივი მღვდელი მ. ვასილი ჯგუშია მუდამ მისი მთქმელი და შთამგონებელი იყო თავის მრევლისა, რამენაირად დაძველებული ეკლესია განეახლებინა, მაგრამ საუბედუროდ მისი ცდა რჩებოდა „ხმა მღაღადებელთა უდაბნოსა შინა". მერე, მკითხავთ „მიძინიას კვერი" ხო არ გამოუცხვიათ? არამც თუ მიაძინა თვისი კეთილი განზრახვა, არამედ სამი წლის დაუღალავი მოძღვრული რჩევით, (მიაღ) საქმედ აქცია და დღეს იმავე ადგილზე გამოჭიმულია კეკლუცი და შნოიანი ეკლესია. ამას დაუმატოთ ისიც, რომ მან სხვა-და-სხვა წყაროებიდან მოუპოვა მისდამი რწმუნებულ ეკლესიას ღირებული ასი მანეთის საეკკლესიო ნივთები, რომლითაც იგი აქამდის არა სანუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც უფრო ცხადად გვიმტკიცებს მის ერთგულს სამსახურს თავის დანიშნულებისადმი.— ორი სიტყვა მეიჯარადრეებზე: დიდი დავიდარაბა გაიარეს პოდრიაჩიკებმა უფულობისა გამო, საზოგადოებაზე გაწერილი ვერ შეიკრიბა თავის დროზე და თქვენი მტერი ისინი ჩაიჭრებოდნენ თუ საკუთარი ფული არ გამოელოთ. მაგრამ კულტუროსანმა მიჰმართა თავის ჯიბეს და მით დააკმაყოფილა ოსტატი, რომ მუშაობა არ შეჩერებულიყო და ასე ამნაირად შეასრულა თავისი მოვალეობა, ხოლო მეორე მოვალეობა კი ყინულზე დააწერა, ე. ი. მოგება, მაგრამ საიგამოს უზენაესი უძლვის მათ.

— **კურთხევა.** ტაძრის კურთხევა უმაღლესი მთავრობისაგან მინდობილი ჰქონდა პატივცემულ დეკანოზს მ. მეუნარგიას და მისი კურთხევის დღე იყო დანიშნული 17 აპრილს აღნიშნულ დროში, ხსენებულ ეკლესიის მრევლთა, დიდი მოძრაობა ეტყობოდა. ყოველგან ყოველი მხრივ იკრიბებოდა ხალხი ამ დიდად სასურველ დღეს. ხალხი თითქმის მოგროვილიყო ეკლესიაში და დეკანოზი კი არ ჩამობრძანებულიყო. ზოგიერთი იმ აზრისა იყო: შეიძლება დღეს სრულიად არ იკურთხოს ეკლესიაო და ხალხი დიდი დუმილის სივრცეში იყო გატაცებული. მათ ზედ ეტყობოდა მწარე ნაღველი და უსიამოვნო გამომეტყველება ხომ ამტკიცებდა მათ ძარღვში შემჯდარ საიდუმლოს. რა იყო მაგის მიზეზი რისი ეშინოდათ აგრე? აი მიზეზიც: ზოგიერთი არამზადა ვაჟბატონებისაგან (აღნიშნულ ეკლესიაში არა შემოვალთა მრევლთაგან) იყო ნათხოვი ეკლესიის კურთხევის შეჩერება, მანამ ცარიელ-ტარიელი მეთაური არ ინებებდა, სრულიად უმნიშვნელო მისეზისა გამო. უცბად ხალხი შეინძრა, ნახეს რა მომავალი დეკანოზი. მიუგებდნენ მას და განუსაზღვრელ სიხარულის მორევმა მოიცვა ისინი. ეკლესიის კურთხევის შემდეგ პატივცემულმა დეკანოზმა წარმოსთქვა ორიოდე, მაგრამ გრძნობით აღსავსე სიტყვა, რომლითაც მიულოცა ხალხს ახალი ბედნიერება. ხალხი დიდად ნასიამოვნები და მადლიელნი თავიანთი ბედისა, დაიშალნენ წირვის შემდეგ.

კალამდარა

# სახალხო ჰიგიენა

**საუბარი ჯანმრთელობის შესახებ*).**

(რუსულიდან)

**სხეულის სისუფთავეზე**

**IV ობობას ქსელი და მავნებელი მწერები.** მტვერში ბუდობენ მავნებელი მწერები ... ბაღლინჯო, რწყილი და სხვა. ს
დგომი სადაც ბუდობენ ობობა
სხვა მწერები არის უსუფთა
წინააღმდეგ ამას სუფთა სადგო
ში ეს მწერები ვერ გასძლებენ
თუ შეამჩნიოთ სადმე უნდა მაშინ
ვე ჩამოიგავოთ. ლაპარაკი ჩამოვ
რდა ობობაზე და აქავე ვსთქვ
ბაღლინჯოებზე და რწყილებზე
არც ეს მწერები უნდა ბუდობ
სადგომში. (черные таракан
къ счастью). რწყილები აფუჭებ
ყველაფერ საგანს თავისი გან
ლით, საჭმელსაც, იმათი განა
ლიდგან წარმოსდგება ტალახ
რომელიც ცოტათ თუ ბევრათ შ
ცავს სიდამპლეს და სენს, რომ
ლიც სადგომში არ უნდა იყვ
ბაღლინჯოები ხომ სულ უარეს
არიან. ამბობენ, რომ იმას ვერა
რით ვერ მოიშორებთ მაგრამ ტყ
ილია. პირველი საშუალება მ
წინააღმდეგ სისუფთავეა, ხშირ
დაგავეთ ოთახი, კედლები მორ
ეთ მდუღარე წყლით კვირაში ე
თხელ და იქ მავნებელი მწერ
ვეღარ დაიბუდებენ, აგრეთვე კაც
რომელიც ყოველ დღე ივარცხნ
თავს და იბანს თვეში სამჯერ-ოთ
ჯერ თბილი წყლით და საპნ
თავის დღეში ტილები არ გაუ
დება.

**V კანი და ტყავი.** ტანსაცმ
და ფეხსაცმელი დამოუკიდებლ
ეხებიან კაცის ტყავს, ამისათვ
რომ გავიგოთ რა მნიშვნელ
ბა აქვს სუფთა ტანსაცმელ
საჭიროა ჯერ გავიგოთ
თვისებას შეიცავს კაცის ტყ
კაცი ისუნთქავს არამც თუ ფილ
ვებით, რომელსაც ვხედავთ,
მედ ტყავითაც, რომლიდანაც
მოდის სხეულში დაგროვებუ
მავნებელი გაზი და ორთქლი.
ზი წოდებული ნახშირ-მჟავ
უგარის გაზის მიმაგვარი წ
ორთქლია, როცა უკანასკ
ტყავის გარეგან ზედა პირს ეხ
რომელიც სულ ყოველთვის
ვია შინაგანზე, მაშინ ტყავზე
აჩნდება წყლის წვეთებივით,
კაცს სცხელა ამ წვეთებს შ
რობს ხოლმე ტანისამოსი.
ტყავი გარეგანი შეხედულ
ჩვენ გვეჩვენება сплошною.
ვილათ კი ის შეიცავს უთვ
რიცხვს დაჩვრეტილ ფოსოებს,
მელიც შეგვიძლიან გავარჩიოთ
ლოდ განმადიდებელი შუშის შ
ობით: ამ უთვალავ ნაჩვრეტებ
კაცის სხეულიდგან გამოდის გ
ნახშირ მჟავი, წყლის ორთ
და სხვა მავნებელი ნივთიერებ
ესეთივე გზები ამოდიან გ
ფილტვების სუნთქმის დრო
ასე შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ
ცი ისუნთქავს: ფილტვებით
ტყავით. თუ კაცს ტყავის

*) იხ. „ცნ. ფურ." № 809.

...ეობა აქვს და რომელიმე მი-
...ს გამო ნაჩვრეტები დაიხურა.
...ნ ტყავის სუნთქმა დაიხურება
...აცი კვდება, თუმცა ისე ერთ-
...დ არა როგორც ფილტვების
...ქვის შეჩერებით. ნაჩვრეტე-
...ომელიც კაცს ტყავზე რიკ-
...ორ მილიონ აღემატება. ყვე-
...მის მიხედვით ჯანმრთელო-
...ის საჭიროა, რომ ტყავის
...ეტები არ ამოიმსოს და მი-
...ტყავის სუნთქმა არ შეჩერდეს.
...არ მბადისა და წყლის ორთქ-
... გარდა ტყავიდგან გამოდის
...ლში დაგროვილი სხვა და სხვა
...ბელი სიცხეები მჟავე სუნისა
...ემოსი, რომელსაც ეწოდება
...ადი. მჟავბადი და ორთქლი
...ანეთში რომ აირევიან, წარ-
...ვენენ ოფლს, გარდა ამისა
...ს ტყავიდგან გამოდის კიდევ
...ვარი ქონი, რომელსაც ეწო-
... ტყავის ქონი. ეს ქონი სა-
...ა მისთვის რომ ტყავი არ
...ს და არ დასკდეს და შეინა-
...თავისი მოქნილობა, ურო-
...ისოთაც ყოველი მოძრაობა
...ებოდა ძნელი, და მიაყენე-
...მას ტკივილს. ოფლი როცა
...ევა ტყავის ქონში, შრება და
...ისდგება ტალახი, რის შემ-
...ით ტყავის დაჩვრეტილება
...მსება ხოლმე და ტყავს სუნთ-
...უშლის.

შ. კ—ძე

(შემდეგი იქნება)

## ჟურმოკრული საუბარი

—

...ოი კაცი ყველას ყურადღებას აქ-
... იმით, რომ ყოველთვის დუმა-
... და ხუმათ იყო ხოლმე. ამის
...სობით ერთმა ფილოსოფოსმა
...ა:
— თქვენ თუ სულელი ხართ და
... ხმას არ იღებთ, მართლა ჭკვია-
...ანებულხარ, ხოლო თუ ჭკვიანი
...რომ დუმილობთ, დიდი სულე-
...ოფილხართ!

—

... იდიკო მშვენიერი და ნიჭიერი
...მაშა!
... რა როლებს თამაშობს.
... როლებს კი არა ბანქოს მოთამა-

—

...ოი ვაჟი ეუბნებოდა ცუგრუმელა
... რომელიც თურმე ძრიელ ფან-
...ა ამ ვაჟის ფულებს.
— ქეთოჯან, შენი პატრონი სწო-
...ბეჟი უნდა იყოს.
...კა შენ თვითონ მარწმუნებდი
...კარგო, რომ გიყვებით მეყვარ-
...

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

...ილების მკვლელობა. გაზეთ
...ისტის“ დეპეშით ატყობინებენ

ოდესიდან, დამოყნის მახუდს გონვორ-
როვიჩს 27 აპრილს ჩაქუჩით მოუკლავს
თავის ოთხი შვილი, დაუჭრია მძიმედ
ერთი ვაჟი და ქალიც. ორი შვილი
გაქცეულან და ისე დაუხსნიათ თავი სა-
კვდილისაგან. ამ შემაძრწუნებელი
მკვლელობის მიზეზი თურმე ის ყო-
ფილა, რომ საბრალო მოხუცე სამსახუ-
რიდან უნდა დაეთხოვნათ, რითაც ცხოვ-
რების სახსარი ესპობოდა მას ცოლ-
შვილს.

## ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდან (1629 წლიდგან)*).

ტფილისის სტამბები და წიგნების ბეჭდვა XIX საუკუნეში.

148 ვირგინია, ალფიერის კომე-
დია იოსებ ბაქრაძისა 1873 წ.

149, ბექანიანი, პოემა 1879 წ,

150 ნაამბობი მოხუცისა, ბერი
კაცი კეხლიასი 1872 წ.

151, ბესიკის ლექსები. ბეს· გა-
ბაშვილისა, 1885 წ.

152, ცოლები დავკარგეთ, გა-
რსევანიშვილისა 1881 წ.

153, ლექსი ბრძოლის ველზედ
დ. გივიშვილისა 1880 წ.

154, რა დღეში ვართ, მისივე,
1884 წ.

155, ქვრივი რითი სჯობს ქალ-
წულსა, მისივე 1878 წ.

156, ბაზარი, ლექსები დ. გივი-
შვილისა 1880 წ.

157, ომის სიმღერა, მისივე
1877 წ.

158 წოლკოტი, ლექსები, მის-
ივე, 1876 წ.

159 ლექსი აბრაგუნეზე მისივე
1885 წ,

160 მგოსანი მისივე 1880 წ.

161 დანით მოკლული პოლოს
მათუზოვზე 1879 წ,

162 გლეხური სიმღერა და ლე-
ქსები, 1873 წ.

163 აბრაგუნეს ლექსი, გომე-
ლისა, 1885 წ.

164, გოპიაშვილის ლექსები,
1878 წ.

164, დავითიანი ტფილისი
1870 წ.

165 სტვირი, ი. დავითაშვილს
და ვ. გოცერიძის გამოცემა 1880
წელს.

166, დავრიშიანი, ძველი მწერ-
ლობა 1875 წ.

167 დასატანი, ლექსები, 1881
წელს.

167, სისხლის ძიება, პოემა ალ.
დეკანოზოვისა 1880 წ.

169 ყარაბაღელი ყაჩაღი, პოე-
მა გ. დვანაძისა 1878 წ.

170, იანკოს ცხოვრება გ. ღი-
ღებულიძისა. 1881 წ.

171, ეთერიანი, გამოც. პ. უმი-
კაშვილისა, 1875 წ.

172, თილისმის ხანი, გ. ერის-
თავისა, ტფ. 1852 წ.

173, უჩინმაჩინოს ქუდი, გ.
ერისთავისა ტფ. 1853 წ.

174, გიორგი ერისთავის თხზუ-
ლებანი 1884 წ. მეორე გამოცე-
მა ტფ.

175, მშვენიერი ელენე, თარგ-
მანი დ. ერისთავისა, ტფ. 1879 წ.

176, სამშობლო დრამა, დ.
ერისთავისა 1882 წ. ტფილისი.

177, რაფ. ერისთავი I ნაწილი
ტფილისი 1882 წ.

178, ნინო მოთხრობა, რაფ.
ერისთავისა 1878 წ. ტფილისი.

179, პარიკმახერისას ვოდევილი
მისივე 1880 წ. ტფ.

180, იგავ არაკნი, მისივე
1878 წ ტფ.

181, იგავ არაკნი კრილოვისა,
მისივე, თარგმანი 1881 წ. ტფ.

182, ქართული გამოცანები,
მისივე 1879 წ. ტფ.

183, ვარშაყიანი, 1885 წ. ტფ.

184, ქილილა და მანა ვახტანგ
მეფის და საბა ორბელიანის ნა-
თარგმნი 1886 წ. ტფ.

185, ვისრამიანი, 1884 წ. ტფ.

186, ლექსთა კრება, ბ. ზედგი-
ნიძესი 1882 წ. ტფ.

187, ლექსთა კრება, დარია
თარხნიშვილისა, 1884 წ. ტფ.

188. ქართული ენის მზრუნ-
ველნი, სცენები ჩვენის მწერლო-
ბიდგან ვ. თარხან მოურავისა
1874 წ. ტფ.

189, ანბანთ ქება, თეიმურაზ
მეფისა ტფ. 1878 წ.

190, შედარება გაზაფხულის,
შემოდგომისა, ციებისა და ცხე-
ლებისა მისივე 1878 წ. ტფ.

191, სანთელი და პეპელა,
პოემა, მისივე 1875 წ. ტფ.

192, ვარდ ბულბულიანი, მი-
სივე პოემა, 1875 წ. ტფ.

193, ცოლი ვიტირო თუ ფუ-
ლი, კომედია ოთხ მოქ. ალ. თუ-
თაევისა 1878 წ. ტფ.

194, რძალი მული და მაშენი-
კები კომედია მისივე 1875 წ. ტფ.

195, უმანკო პატარძალი, კო-
მედია მისივე 1880 წ.

196 ალმანახი I წ. გიორგი თუ-
მანიშვილის გამოცემა 1878 წ. ტფ.

197, ალმანახი II წიგნი მისივე
1879 წ. ტფ.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 809.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

30 აპრილი

**პეტერბურგი.** ჩვენი ელჩი დიდ ბრიტანიის სასახლეში სტალი, გარეშე საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი ბაზილი და პროფესორი მარტენსი გუშინ გაავას წავიდნენ.

30 აპრილს ანდერძი აუგეს და დაასაფლავეს სახელმწიფო საბჭოს წევრი, გენერალ-ადიუტანტი, ადმირალი პოსიეტი. ანდერძის აგებაზედ ეკკლესიაში მობრძანდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული, დიდნი მთავარნი, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, მინისტრები, წარჩინებული კაცები, ზღვათა და გზათა სამინასტროების მოხელენი, წყალში დარჩობისაგან გადამრჩენ საზოგადოების წევრნი, გზათა ინსტიტუტის სტუდენტები. 200 მეტი გვირგვინი დაადეს. ცხედარი დაასაფლავეს ნოვოდევიჩის მონასტრის სასაფლაოზე. მათი უდიდებულესობანი იმავე დღეს წაბრძანდნენ ცარსკოე სელოში.

**პარიზი.** „ფიგარო“-ს მოჰყავს ლეპინის ჩვენება, რომელიც ამტკიცებს, რომ დრეიფუსი ქაღალდს არ თამაშობდა და ქალებთან დამოკიდებულება არა ჰქონიაო. ამის შესახებ მას რაპორტი მიუცია ანრისათვის, რომელსაც არ წარუდგენია იგი სამხედრო სამინისტროში.

„Petit Bleu“ იუწყება რომ, კაიენაში გაგზავნილია რაზმი, რომელსაც მინდობილი აქვს დრეიფუსის მოყვანა იქიდგან, საქმის გადასინჯვა თუ გარდაწყდა.

„Caulois“-ს გაუგონია, რომ დრეიფუსის საქმის გარდაწყვეტა რამდენიმე დღით გადაიდებაო.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოს ელისეს სასახლეში გილიენმა აუწყა მარშანის დეპეშა ხარრანიდგან გამოგზავნილი. მარშანი თხოულობს ჯილდოს ექსპედიციის ზოგიერთ წევრთათვის და იუწყება, რომ ჩემს რაზმში მშვიდობიანობა არისო. იგი მოვა ჯიბუტში 5 მაისს.

1 მაისი.

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე დანიშნულ იქმნა პეტერბურგში პუშკინის ძეგლის ამგებ კომიტეტის თავმჯდომარედ.

**ბაქო.** ბაქოს ქალაქის საბჭომ დაადგინა ჩვეულებრივის დღესასწაულის გარდა, სამარადისოდ სახსოვარ ჰყოს პუშკინის სახელი. გადასწყვიტეს აგრეთვე საღლესასწაულო სახლი პუშკინის სახელობაზე, რისთვისაც 150 ათასი მანეთი გადასდეს.

**ბერლინი.** აქ ჩამოვიდა რუსეთის ელჩი სტალი, რომელიც დანიშნულია წარმომადგენლად, გაავის კონფერენციაზე. სტალი სადილად იყო მინისტრ ბიულოვთან.

**ვალიადოლიდო.** ერთ სტუდენტისა და იუნკრის შორის ჩხუ-

ზი მოხდა, რის გამო მრავალი სტუდენტები და იუნკრები ძრიელ წაიჩხუბნენ. რამდენიმე პირი ძრიელ დაჭრილია. ფიქრობენ, რომ დიდი ჩხუბი ატყდებაო, მოწინააღმდეგეთა შორის.

**ვილიადოლიდი.** სტუდენტებსა და კადეტთა შორის ხელ-მეორედ დაიწყო ჩხუბი, მძიმედ დაჭრილია 4 კადეტი და 3 სტუდენტი, ჟანდარმებმა როგორც იყო წესიერება ჩამოაგდეს.

**ორი წლის შემოსავალი (1897 და 1898 წ.) განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის სახსოვრად დაარსებულ ბიბლიოთეკისა.**

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 113) ს. ი. ბიტუცკოი | 3 „ | „ |
| 114) ადუარ ტატჩიბაშევი. | 1 „ | „ |
| 115) ნ. დეკანოზოვი . | 2 „ | „ |
| 116) გ. ნემსაძე . . | 2 „ | „ |
| 117) ი. თაყაიშვილი . | 1 „ | „ |
| 118) კნ. ვ. ვიშინი . | 1 „ | „ |
| 119) დ. მელაძე . . | 1 „ | „ |
| 120) პ. აზანიშვილი . | 1 „ | „ |
| 121) ა. ჩავანავა . . | 2 „ | „ |
| 122) ი. კავთარაძე. . | 1 „ | „ |
| 123) ა. ლიაძე . . . | 2 „ | „ |
| 124) გ. ახინორიძე. . | 2 „ | „ |
| 125) ი. ლორთქიფანიძე | 2 „ | „ |
| 136) ი. ხინჩალაძე . . | 2 „ | „ |
| 127) ა. ბოსტოგონოვ. | 3 „ | „ |
| 128) დ. ელბაქიძე . . | 2 „ | „ |
| 129) ა. აბელიანც . . | 10 „ | „ |
| 130) მ. ლოლუა . . | 5 „ | „ |
| 131) კნ. ი. ვაჩნაძე . | 10 „ | „ |
| 132) კნ. აფაქიძე . . | 3 „ | „ |
| 133) ნ. მარჯანიშვილი. | 2 „ | „ |
| 134) დ. გრიგოლაშვილი | 2 „ | „ |
| 135) ა. იოსელიანი. . | 1 „ | „ |
| 136) გ. დჟანში. . . | 1 „ | „ |
| 137) გ. ბეჟანოვი . . | 1 „ | „ |
| 138) ი. საკალოვი . . | 1 „ | „ |
| 136) ეფ. ხელთუფლიშვილისა. . . . . . . | 2 „ | „ |
| 140) ა. კაგაროვ . . | 1 „ | „ |
| 141) ე. გეპნერ. . . | 2 „ | „ |
| 142) ბ. ტერტეროვი . | 1 „ | „ |
| 143) ი. ა. დემჩინსკი . | 10 „ | „ |
| 144) ნ. ა. ტერენტიევ. | 10 „ | „ |
| 145) გ. ქავთარაძე . . | 2 „ | „ |
| 146) აჩის-ბეგ მემადიბეკოვ | 5 „ | „ |
| 147) რუსტ.-ბეგ სულთანოვ | 3 „ | „ |
| 148) შიოდა კიარიგოვ . | 1 „ | „ |
| 149) იარაპეტო ლაზარ. ვარტაზაროვ . . . . | 4 „ | „ |
| 150) ს. ათაბექიანც . . | 1 „ | „ |
| 151) ა. გოცირიძე . . | 2 „ | „ |
| 152) ან. პეტრიაშვილისა | 2 „ | „ |
| 153) მ. მიქელაძე . . | 2 „ | „ |
| 154) გ. ქავთარაძე . . | 3 „ | „ |
| 155) მ. ლორთქიფანიძე | 5 „ | „ |
| 156) ვ. ნიჟარაძე . . | 3 „ | „ |
| 157) ი. მდივანიშვილი. | 5 „ | „ |
| 158) დ. ერისთოვი. . | 7 „ | „ |
| 159) კნიაჟ. ნ. აბაშიძე . | 2 „ | „ |
| 160) მალ. სირაძე . . | 2 „ | „ |
| 161) უფ. შვარ . . | 2 „ | „ |
| | 2194 მ | 64 კ. |

ხარჯს გარდა 94 პირველ იანვრისათვის დარჩა 487 მ.

დიდ მადლობას ვუხდით აგრეთვე რედაქციებს, რომლიდანაც უფასოთ ანუ ნახევარ ფასათ მოგვდის გაზეთები და ჟურნალები მაგალითად: „კავკაზი“, „ნოვ. ობ.“, „რუსკი ვედომოსტი“, „მწყემსი“ „პასტირი“ და „მეურნე“ უფასოთ მოგვდის „კვალი“, „ჯეჯილი“, „მოამბე და „ივერია“ ნახევარ ფასათ. აგრეთვე უფასოთ დაბეჭდვისათვის ყოველგვარ გამოცხადებისა.

ელენა ჯინოვისა.

# განცხადებანი

იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

| | | |
|---|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე . . | 2 | „ |
| ალექსანდრე ეპისკოპოსი | 2 | „ |
| საპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . | 2 | „ |
| პატარა ბიბლიოთეკა . . | 2 | „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—26)

გაზეთ „კავკასის“ კანტორაში

იყიდება

რუსული ახალი წიგნი

**ნორძალაძ**

(ბინოკლისა)

წერილები უნებურად ორ-ცოლიანისა და საზოგადოდ გაუფრთხილებელის კაცისა.

**ფასი 1 მან.,** გაგზავნით ფოსტით 1 მ. 25 კაპ. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ 25%.

ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი დანიშნულია გადმოსახლებულთა სასადილოსათვის ტფილისში.

(20—13)

გამოვიდა და იყიდება

წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იმერული

**სცენები**

შეკრებილი **კ. მესხის** მიერ

ფასი 5 კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ მანათად დაეთმობა. (12—12)

**КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,**

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ уче[бныхъ з]аведеніи**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе [...] часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣ[сяца].

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго началь[ства].**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ари[ѳме]тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на сче[тахъ], 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) [тор]говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (5[...] дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ [и у] автора: Михайловская ул., № 71.** (100—1[...])

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ**

**НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ**

для самообразованія

VIII-й г. изд. **МІРЪ БОЖІЙ** VIII-й г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и [въ] томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія [пред]полагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. [...]икой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Арт[ура]» (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Го[рьк]го; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; раз[сказы] г.г. Бунина, Потапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» [...] Брандта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», В. Битнера; [...]льзъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», [...] П. Милюкова. «Александръ I и его время», А. Прѣснякова: «А. С. [Пуш]кинъ (юбилейная статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Ива[нова]; «Ада Негри», В. Фриче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-до[ц.] Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживи[цка]го; «Положеніе труда въ Англіи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріу[съ и] эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, [ея] настоящее и будущее. д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной фи[лосо]фіи», Людвига Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джо[нъ Рёс]кинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ наук[и, тех]ники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи та[йныхъ] обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ запад[ной] литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Те[кущ]шія научныя новости. Библіографія. Новости иностранной [ли]тературы.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на годъ 8 руб
Безъ доставки на годъ . . . . . . 7 »
За границу на годъ . . . . . . 10 »
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

**По полугодіямъ;**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р
За границу . . . 5 р.
Безъ доставки по соглашенію конторой

**по третямъ года:**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи;
въ январѣ . . .
» маѣ . . .
» сентябрѣ . . .
За границу: въ январѣ
» » » маѣ . .
» » » сентябрѣ .

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку [безъ] повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова.* Редакторъ *В. П. Острогорск[ій]*

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Мая 1899 г. სტ. „შრ. ფურც.“) გ. ტბილისი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ჭ[...]